

## **ბუბა ოჩიური**

### **მასწავლებლის გზამკვლევი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში**

ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრმა რვა საგანში შექმნა გზამკვლევი მასწავლებლებისათვის (I-VI კლასები), 2011-2016 წლების სასწავლო გეგმის მიხედვით. ამ სტატიაში მიმოვიხილავთ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გზამკვლევს. გზამკვლევი დაწყებითი კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებისათვისაა განკუთვნილი და საგნობრივი პროგრამის დამხმარე რესურსს წარმოადგენს. იგი არა მარტო ხელს უწყობს მასწავლებელს, უკეთ გაერკვეს პროგრამის მიზნებსა და მოთხოვნებში და მიაღწიოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, არამედ აგრეთვე სთავაზობს მას სასარგებლო რჩევებს მეთოდის სფეროდან, აქტივობების ფართო სპექტრს, პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელ ცნობებს სხვადასხვა მხატვრული ტექნიკისა და პროცედურების, მასალებისა და იარაღების შესახებ, ხელოვნების თეორიისა და ისტორიის შესახებ, სპეციალური ლიტერატურისა და საიტების ჩამონათვალსა და ვიზუალურ მასალებს, რომელთა ნაწილიც DVD -ზეა განთავსებული და დართული აქვს გზამკვლევს.

### **საგნობრივი სტანდარტის გზამკვლევის სტრუქტურა**

გზამკვლევი შედგება ხუთი თავისაგან:

**პირველ თავში** განხილულია შედეგზე ორიენტირებული სწავლა/სწავლების ძირითადი პრინციპები, ცოდნის კონსტრუირება.

**მეორე თავში** განხილულია შეფასების სისტემა, გაანალიზებულია მისი არსი და მიზნები, მოცემულია მეთოდოლოგიური რჩევები და შეფასების კომპონენტები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში.

**მესამე თავში** მოცემული ცხრილი აცნობს მასწავლებლებს საგნობრივი პროგრამის შედეგებსა და ინდიკატორებთან დაკავშირებულ აქტივობებს, მათი ჩატარებისათვის საჭირო მასალებს, რეკომენდაციებს, რჩევებსა და მითითებებს და კავშირს სხვა საგნებთან.

ცხრილში მკაფიოდაა გამოყოფილი სტანდარტის სამი მიმართულება:

- 1) შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება;
- 2) კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია;
- 3) ხელოვნების აღქმა კონტექსტში.

**მაგალითად: კლასი III, მიმართულება: შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება**

შედეგი და ინდიკატორი	ტიპური აქტივობები	რესურსები	კავშირი სხვა საბუნებთან	შენიშვნა
<p>ს.გ.III.I მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სახვითი ხელოვნების რამდენიმე ძირითადი პრინციპი და ელემენტი ნამუშევრის შექმნისას</p> <p>3. სხვადასხვა მასალით ქმნის მარტივ გამოსახულებებს, კონსტრუქციებს.</p>	<p><b>3. I. აქტივობა “ლანდშაფტი ზოოპარკისთვის” (გუნდური სამუშაო)</b>  დიდი ზომის მუყაოზე ფანქრით მოინიშნება “გალიების”, გზების ადგილი. დასაწებებელი მასალის მიხედვით, თანმიმდევრულად წაუსვამენ მონიშნულ ადგილებს წებოს და დააწებებენ ზოგან ხავსს, ზოგან ქვიშას, ზოგან კენჭებს... ასევე წებოთი ან პლასტილინით დაამაგრებენ “ხეებს” – პატარა ტოტებს, რომლებსაც საკუთარი ფანტაზიით გააფორმებენ. გალიები შეიძლება გაკეთდეს ასანთის ღერების ან პატარა ტოტებისგან. “გალიების” გაკეთება არ არის სავალდებულო, ეს ადგილი უნდა იყოს სიმბოლურად შემოფარგლული ისე, რომ არ დაიფაროს ცხოველი, რომელსაც შიგ ჩასვამენ. (იხ. აქტივობა ს.გ. III.2 – “ზოოპარკი”)  <b>კავშირი: შედეგი ს.გ.III.2 - ს.გ.III.6</b></p>	<p>3. I. მასალა: დიდი ზომის მუყაო, წებო, პლასტილინი, ქვიშა, კენჭები, ხავსი, პატარა ტოტები... ცხოველები, რომლებიც წინასწარ დაამზადეს.</p>	<p>3. I. ბუნ. III.1. მოსწავლეს შეუძლია გაარჩიოს სიცოცხლის ძირითადი გამოვლინებები.</p>	<p>პლასტილინის ნაცვლად მოსწავლეებმა შეიძლება გამოიყენონ მარილიანი ცომი: 1 ჭიქა მარილი + 1 ჭიქა პურის ფქვილი + 1/2 ჭიქაზე ოდნავ მეტი წყალი. ცომისგან დამზადებული ნაკეთობა შეიძლება გაშრეს თავისით, მაგრამ უმჯობესია, გამოიწვას ქურაში (დაბალ ცეცხლზე 40 წუთი) და შემდეგ შეიღებოს გუაშის საღებავით.</p> <p>3. I მოსწავლეებმა ერთმანეთს ხელი რომ არ შეუშალონ მუშაობაში, სასურველია, კლასი დაიყოს პატარა ჯგუფებად და ყოველმა ჯგუფმა გააკეთოს ზოოპარკის ლანდშაფტის რომელიმე ნაწილი. საბოლოოდ ყველა ნაწილი გაერთიანდება.</p> <p>ეს აქტივობა შეიძლება განაწილდეს ორ ან მეტ გაკვეთილზე.</p>

## კლასი VI

### მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში

<p><b>ს.გ.VI.11</b>  <b>მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი ისტორიასთან და კულტურასთან</b></p> <p>1. ვიზუალური დეტალების მიხედვით (ნივთები, ტანსაცმელი, შენობები, ტრანსპორტი) ამოიცნობს, რომელი ეპოქა და კულტურაა ასახული ნაწარმოებში</p>	<p><b>1. აქტივობა "სად და როდის"</b></p> <p>მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ნაწარმოებების ისეთი ფრაგმენტების ამსახველ მასალას, სადაც სამოსელის, ვარცხნილობის, აქსესუარების და გარემოს დეტალების მიხედვით მოსწავლეები შეძლებენ იმის მიხვედრას, თუ რომელი ქვეყანა ან ეპოქა უნდა იყოს გამოსახული სურათზე (მაგ., ეგვიპტის ფარაონის თავსაბური, ბერძნული ტუნიკა, რომაული სატრიუმფო თაღი, ჩინური მარაო, ლონდონის ორსართულიანი წითელი ომნიბუსი და სხვ.) ამის შემდეგ მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს მთლიან სურათებს, რომლებზეც მოსწავლეები მოძებნიან უკვე ნანახ ფრაგმენტებს და მათ მიხედვით შეამოწმებენ საკუთარი ვარაუდების სისწორეს.</p>	<p>1. ნებისმიერი ვიზუალური მასალა, სადაც ნათლად ჩანს ეპოქისა თუ ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტიპური დეტალები და აქსესუარები.</p>	<p>1. საზ.მეც.V-VI.              8. მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს პიროვნებებისა და სხვადასხვა სოციალური ფენის როლზე საქართველოს ისტორიაში</p>	<p>1. სასურველია, რომ ვიზუალურ მასალაზე დეტალურად იყოს გამოსახული ინტერიერები, ქალაქის ხედები ან პეიზაჟები, კარგად მოჩანდეს არქიტექტურა და სატრანსპორტო საშუალებები. აგრეთვე უმჯობესი იქნება, თუ წარმოდგენილი იქნება მრავალფეროვანი კომპოზიციები, რათა შესაძლებელი იყოს დასკვნების გამოტანა არა ერთი, არამედ რამდენიმე პერსონაჟის დათვალიერების საფუძველზე.</p>
---	---	---	--	---

სასწავლო გეგმის შესაბამისად, შედეგები აღნიშნულია კოდებით, სადაც მოცემულია: 1) საგნის დასახელება (ს.გ. ანუ "სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება"), 2) კლასი, 3) შედეგის ნომერი.

მაგ.: ს.გ.III.I - 1) ს.გ.- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, 2) III- კლასი, 3) I - შედეგი.

შედეგს მოსდევს ინდიკატორი (ინდიკატორები, ამ შემთხვევაში, დანომრილია უკეთ ორიენტირებისთვის), რომლის გასწვრივაც შესაბამის გრაფებში იმავე ნომრით არის მოცემული აქტივობა, რესურსები, კავშირი სხვა საგნებთან, შენიშვნა. აქტივობის ბოლოს, რიგ შემთხვევებში, მითითებულია კავშირი საგნობრივი პროგრამის იმ შედეგებთანაც, რომელთა მიღწევაც მოცემული აქტივობით არის შესაძლებელი.

**მეოთხე თავში** დეტალურად და ვრცლადაა განხილული იმ აქტივობებისა და გაკვეთილების მაგალითები, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე მიმართულების მიღწევის საშუალებას იძლევა. მოცემული ნიმუშები მასწავლებელს გაუადვილებს აქტივობების დაგეგმვას თემის ირგვლივ, რაც დაეხმარება სტანდარტის რამდენიმე მიმართულების შედეგების მიღწევაში. მაგალითად:

## 8.

### თემა: „ფერები“

**შედეგი:** ს.გ. III.I, ს.გ. IV.1 მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სახვითი ხელოვნების რამდენიმე ძირითადი პრინციპი და ელემენტი ნამუშევრის შექმნისას.

**ინდიკატორი:** ფერების ბორბალზე ამოიცნობს ძირითად, შედგენილ და კონტრასტულ ფერებს (წითელი-მწვანე, ყვითელი-იასამნისფერი, ლურჯი-ნარინჯისფერი).

**აქტივობა** “ფერთა სამყარო“



**მიზანი:** გავულრმავოთ მოსწავლეს ცოდნა ხელოვნების ელემენტის - ფერის შესახებ, ცნობილი მხატვრების ნამუშევრებზე დაკვირვებისა და პრაქტიული ნამუშევრის შესრულების საფუძველზე გავაცნოთ მას დამატებითი (კონტრასტული) ფერების ცნება და მათი თვისებები, განვუვითაროთ მოსწავლეს შემოქმედებითობა, დაკვირვებისა და აზროვნების უნარი.

მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს მათთვის უკვე ცნობილ ფერების ბორბალს და შეახსენებს ძირითადი და შედგენილი ფერების შესახებ. ამის შემდეგ იგი მიაქცევს ბავშვების ყურადღებას იმას, თუ რომელი ფერებია განლაგებული ერთმანეთის პირისპირ, საწინააღმდეგო მხარეებზე (წითელი-მწვანე, ყვითელი-იასამნისფერი,

ლურჯი-ნარინჯისფერი) და უხსნის, რომ ფერების ამ წყვილებს კონტრასტული ფერები ეწოდება. იგი უხსნის ბავშვებს, რომ სიტყვა "კონტრასტული" ნიშნავს მკვეთრად საპირისპიროს, ძალიან განსხვავებულს. ამის შემდეგ მასწავლებელი ასახელებს ორ-ორ სიტყვას და სთხოვს ბავშვებს, გამოიცნონ, რომელი აღნიშნავს რაიმე კონტრასტულს, საწინააღმდეგოს (მაგ., გრძელი – მოკლე, სქელი – წვრილი, მაღალი – დაბალი და სხვ.) და რომელი – არა (ნებისმიერი სინონიმები, მაგ., მუქი – ბნელი, სქელი – მსხვილი და სხვ.).

მასწავლებელი ატარებს ცდას: იგი აჩვენებს მოსწავლეებს ორ ბარათს, ერთზე დამაგრებულია ქაღალდის წითელი კვადრატი მწვანე ფონზე (იგი ისე უნდა იყოს დამაგრებული, რომ მისი მოხსნა შეუძლებოდეს), მეორეზე – იმავე ფერის წითელი კვადრატი ნარინჯისფერ ფონზე და ეკითხება მოსწავლეებს, რომელი კვადრატია, მათი აზრით, უფრო მკვეთრი ფერის – ის, რომელიც კონტრასტულ ფონზეა, თუ მეორე. მოსწავლეებს აუცილებლად შეექმნებათ ილუზია, რომ მწვანე ფერზე დადებული კვადრატი უფრო მკვეთრია. ამის შემდეგ მასწავლებელი მოხსნის ფონებიდან ორივე კვადრატს და მოსწავლეები დარწმუნდებიან, რომ ორივე წითელი ზუსტად ერთნაირია. ამით მოსწავლეები თვალნათლივ დარწმუნდებიან, რომ კონტრასტული ფერის ფონზე ნებისმიერი ფერი უფრო ძლიერი, უფრო ინტენსიური გვეჩვენება.


მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ორ სურათს, რომელთაგან ერთი კონტრასტული ფერებითაა აგებული (მაგ., ვან გოგის "არლის კაფე ღამით" ან "ავტოპორტრეტი შეხვეული ყურით"), ხოლო მეორე, მისგან განსხვავებით – ანალოგური, ანუ ჰარმონიული ფერებით (მაგ., ფრანსუა ბუშეს "მადამ პომპადურის პორტრეტი" ან მონეს "დუმფარები") (განვლილი მასალის შეხსენების მიზნით, მასწავლებელი დასვამს კითხვებს იმის შესახებ, თუ რა ჟანრებს მიეკუთვნება აღნიშნული ნაწარმოებები).

**კავშირი III.11, IV.11, მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისგან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები და ზოგიერთი ჟანრი და დააკავშიროს ისინი ყოველდღიურ ცხოვრებასთან.**

ტერმინების (ანალოგური, ჰარმონიული ფერები) ხსენება ამჯერად არ არის საჭირო, საკმარისია უბრალოდ დაისვას კითხვა, თუ ორი წარმოდგენილი ნაწარმოებიდან რომელშია გამოყენებული კონტრასტული ფერები. როდესაც მოსწავლეები პასუხს გასცემენ, მასწავლებელი ეკითხება მათ, თუ რომელ სურათში იგრძნობა, მათი აზრით, უფრო ემოციური, დამაბული განწყობა და რომელია უფრო მშვიდი, ნაზი. ამის შედეგად მოსწავლეები ხედავენ, რომ კონტრასტული ფერების გამოყენებისას უფრო ძლიერ ემოციურ ეფექტს ვიღებთ.

## აქტივობა „ეგზოტიკური ცხოველი“

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, დახატონ ან გააფერადონ სპეციფიკური შეფერილობის მქონე რომელიმე ეგზოტიკური ცხოველი (ყირაფი, ზებრა, ვეფხვი და ა.შ.). მათ ჯერ უნდა შეასრულონ ორი ერთნაირი კონტურული ნახატი. შემდეგ შეაფერადონ ერთი ბუნებრივი, რეალისტური ფერებით, მეორე – არარეალური; კონტრასტული შეფერილობით.



თუ დავალება სირთულეს შეიცავს, შესაძლებელია, მოსწავლეებს დაურიგდეთ წინასწარ დაქსეროქსებული გასაფერადებელი კონტურული გამოსახულებები.

### გართულებული ვარიანტი IV კლასისთვის:

ცხოველების გარდა, მოსწავლეები ხატავენ გარემოს – ერთს კონტრასტული, ხოლო მეორეს – ბუნებრივი, რეალისტური ფერებით.

შემდეგი ნაწილი უკავშირდება შედეგს:

ს.გ. III.7-4, ს.გ. IV.7-5. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები და გაუზიაროს თანაკლასელებს აზრები და იდეები.

როდესაც მოსწავლეები დაამთავრებენ ხატვას, ეწყობა ნამუშევრების პრეზენტაცია.

დასრულებული ნამუშევრები გამოიფინება კლასში. მოსწავლეები საუბრობენ ნამუშევრებზე და იმაზე, თუ როგორ გამოიყენეს დამატებითი (კონტრასტული) ფერები და რა შედეგი მიიღეს, რა მოსწონთ და რა არა.

**ტერმინები:** კონტრასტული, დამატებითი ფერები

### შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეები უნდა შევაფასოთ იმის მიხედვით, თუ როგორ შეუძლიათ მათ გამოავლინონ:

- ხელოვნების ნაწარმოებსა და გარემოში დამატებითი (კონტრასტული) ფერების გარჩევის და მათზე საუბრის უნარი;
- ნამუშევრის შექმნისას დამატებითი ფერების გამოყენების უნარი.

მეხუთე თავში მოცემულია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების მაგალითები.

გზამკვლევში აგრეთვე ჩამოთვლილი და განმარტებულია ძირითადი ტერმინები, მითითებულია სასარგებლო ლიტერატურა და საიტები, რომლებიც დაეხმარება მასწავლებელს დამატებითი ცნობებისა და მასალების მოპოვებაში.

დაწყებულია მუშაობა საბაზო საფეხურის (VII-IX კლასები) მასწავლებლის გზამკვლევზე.